

საკრებულოს თავმჯდომარე და მოადგილე 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშები წარმოადგინეს

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიამ საქმიანობის შემაჯავებელ ანგარიშში, რამდენიმე პრიორიტეტი გამოყო.

მან ისაუბრა საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხებზე: რეგლამენტში განხორციელებულ ცვლილებებზე, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტსა და პრიორიტეტების დოკუმენტზე. მათ შორის ვრცლად წარმოადგინა ინფრასტრუქტურის, განათლების, სოციალური მიმართულებით განხორციელებული პროექტები; გამოყო სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და შესაბამის სფეროში ნორმების, წესების განსაზღვრის აუცილებლობა, ქონების განკარგვისა და მართვის სფეროში მიღებულ სამართლებრივ აქტები. შეეხო ღია მმართველობის საკ-

ითხებს და სამომავლო გეგმების შესახებ ამომრჩეველებს ინფორმაცია მიაწოდა.

– „თვითმმართველი ერთეულის ძირითად პოლიტიკური ორიენტაცია ხელმძღვანელობა, განაპირობებს ჩემი, როგორც საკრებულოს თავმჯდომარის პოლიტიკური თანამდებობის პირის სტატუსს. ხოლო ნდობის მაღალი მანდატი განაპირობებულა მოსახლეობისა და შემდეგ უკვე საკრებულოს წევრების მხრიდან გამოცხადებული ნდობით და დაკისრებული პასუხისმგებლობით. ნდობის გამართლება არის ის ანგარიში, რომელსაც ამომრჩეველებს ყოველდღიურად ვაბარებ“ – აღნიშნა საკრებულოს თავმჯდომარემ.

დავით დარჩიას ანგარიშში ვრცლად იყო წარმოდგენილი მოქალაქეთა ჩართულობის, ანგარიშვალდებულებისა და საჯარო



მმართველობის კუთხით შესრულებული საქმიანობა. ადგილობრივი საჭიროებებს მორგებული გადაწყვეტილებები, მოსახლეობის ინტერესების გატარება, გამჭვირვალე და ეფექტური საქმი-

ანობა კი ძირითად ამოცანად დაისახა.

– „განსაკუთრებული მადლობა ოზურგეთელებს გამოცხადებული ნდობისთვის, თქვენ მხარდაჭერით მოპოვებული მან-

დატი არის უდიდესი პასუხისმგებლობა და მიზანი გავამართლო მონიჭებული ნდობა, ვაკეთო საქმე ოზურგეთის საკითხ-ლდეოდ“ – აღნიშნა დასკვნით ნაწილში საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიამ.

მანვე უპასუხა საკრებულოს წევრების, ჟურნალისტების მიერ დასმულ შეკითხვებს.

საკრებულოს წევრმა გიორგი ღურჯუელიმ, უფლებამოსილების ფარგლებში შესრულებულ ვალდებულებებზე ვრცლად ისაუბრა.

მან ყურადღება გაამახვილა 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავების პროცესზე.

– „ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის, ინიციატივით 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი კოლეგებთან ერ-

თად საჯარო სივრცეში განვიხილეთ მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიული პირებისა და მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან ერთად ინდივიდუალურ რეჟიმში. აქტიურად ვმონაწილეობდი 2019 წლის ბიუჯეტის პროექტზე საკრებულოს შენიშვნა-რეკომენდაციების შემუშავებაში, რომელთა ძირითადი ნაწილი ვათვალისწინებელი იქნა ბიუჯეტის საბოლოო პროექტში“ – აღნიშნა გიორგი ღურჯუელიმ.

აქცენტი გააკეთა მუნიციპალიტეტის სივრცით ტერიტორიული დაგეგმვის, როგორც ფუნდამენტურ საკითხზე და დეტალურად წარმოადგინა უშუალოდ მის მიერ ინიცირებული სამართლებრივი აქტები.

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი .

ყოველკვირეული გამოშვება. № 39 (10332) 11 ნოემბერი, 2019 წ. ფასი 60 თეთრი.

მუნიციპალიტეტის სამ სოფელში წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემა მოეწყობა



საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლების - **პაპიჯვარის, ბახვიზისა და ცხემლისხილის** წყალმომარაგების სისტემის პროექტირება-შემუშავება დაიწყო.

შესაბამის დოკუმენტს ხელი მოაწერეს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორმა, ეკატერინე ვალდავამ და შპს „უნივერსალ ჯორჯია 2008“-ის დირექტორმა, ედნარ ჩიტაძემ.

ღვინის მდგომარეობით, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია აღნიშნულ სოფლებში არ ოპერირებს. დასახლებებში არსებული წყლის სისტემა მოძველებული და ამორტიზებულია, მოსახლეობის უბრაულებლობა ჭის წყალს მოიხმარს, რო-

მელიც ზაფხულში შრება და ადგილობრივებს წყლის მოსატანად დიდი მანძილის გავლა უწევთ. სამუშაოების დასრულების შემდეგ სამი სოფლის 7 000-მდე მაცხოვრებელს უწყვეტი, ხარისხიანი წყალმომარაგება ექნება.

პროექტის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდება წყლის სათავე ნაგებობას, შეიცვლება სათავედან რეზერვუარამდე მიმავალი მილი და სრულად განახლება შიდა ქსელი, რეაბილიტაცია ჩაუტარდება წყალშემკრებ აუზებს, გამრიცხველიანდება მოსახლეობა, მნიშვნელოვნად შემცირდება წყლის დანაკარგები.

პროექტის ღირებულება **7 444 800.00 ლარია**. სამუშაოები 2021 წლის გაზაფხულზე დასრულდება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2020 წელს 35 კილომეტრი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია იგეგმება

ალიონი. გასულ ოთხშაბათს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2020 წელს განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე იმსჯელა.

რა პროექტები განხორციელდება გეგმავს 2020 წელს რეგიონალური ფონდი:

ოზურგეთი-ნინოშვილი-ლესას გზიდან ჯუმათის ცენტრის გავლით ბოვილას გზის რეაბილიტაცია (1468 გრძ. მ) –401,508 ლარი;

ოზურგეთი-ნატანები-ურეკის სახელმწიფო მნიშვნელობის გზიდან სოფელ შრომის (ეკელ-დიდი) -ღონაურის გავლით ნატანების ცენტრალურ გზამდე დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (4.030 გრძ. მ.) –1,602 000 ლარი;

ქალაქ ოზურგეთის დაზიანებული ქუჩების რეაბილიტაცია (6400 გრძ. მ.) –2 500 000 ლარი;

შემოქმედის ცენტრიდან მონასტერთან და სასაფლაოსთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (616 გრძ. მ.) –592 210 ლარი;

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ნაღობილევის (№4 უბანი) საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (1656 გრძ. მ.) –397 890 ლარი;

შეკვეთილში შიდა გზების მოწობის სამუშაოები (მორე ეტაბი, 5000 გრძ. მ) –2 144-456 ლარი;

კურორტ ურეკის შემოვლითი გზის (უსკალეიკის) გზის რეაბილიტაცია (2940 გრძ.მ.)–1 057 980 ლარი;

სოფელი შრომა(ჩირე) ურეკი-გრიგოლეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (29-05 გრძ. მ.)–1 030 410 ლარი;

საკვავახო-ჩხატაური-ოზურგეთი –ქობულეთის შიდა სახელმწიფოებრივი გზის 44-ე კმ-დან სოფელ ბოხაურის ცენტრის გავლით შემოქმედი-ცხემლისხიდის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (4 505 გრძ. მ.)–1 909 220 ლარი;

სოფელ მთისპირი-ასკანის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (2 000 გრძ. მ.) –552 850 ლარი;

ასკანის თემში, სოფელ მზიანის შიდა გზის რეაბილიტაცია (2950 გრძ. მ.) –1 050 000ლარი).

აღნიშნული საკითხის განხილვისას საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე **ლაფრენტი ბიგვაგამ** განაცხადა, რომ სოფელ დვბაზუში არ მოხდა 800 გრძივი მეტრი სიგრძის გზის რეაბილიტაცია, რომლის



გაკეთებასაც სოფელ დვბაზუში მერის წარმომადგენლის თანაშემწე ვასილ ლლონტი აფერხებს.

ლაფრენტი ბიგვაგამ აღნიშნულ თემაზე განცხადებას შეეპასუხა მერიის მოადგილე **ოსიკო თოთიბაძე**.

მერიის წარმომადგენლები ამბობენ, რომ აღნიშნული გზის რეაბილიტაცია 2022 წელს განხორციელდება.

აღნიშნულ განცხადებას არასწორს უწოდებს **ვასილ ლლონტი**.

–რომელი ქუჩის რეაბილიტაცია უნდა შევაფერხო, თუკი სოფელში სასიკეთო რამე კეთდება, გვერდით უუღვევარ. ამ ქუჩაზე მეც ვცხოვრობ. არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს

საკრებულოს –ამბობს ვასილ ლლონტი.

გაზეთი „ალიონი“ სოფელ ასკანის მაჟორიტარ დეპუტატს **ლევან ნინიძესაც** ესაუბრა:–ვერ წარმოიდგენთ ჩემს სიხარულს. სოფელ ასკანის თემში ორი გზის რეაბილიტაცია მოხდება: სოფელ მზიანის შიდა გზის და სოფელ მთისპირის დამაკავშირებელი თითქმის 5 კილომეტრი გზის, რაზედაც 1 600 000 ლარზე მეტი დაიხარჯება. ორთავე გზის პროექტირება უკვე დასრულებულია და მიმდინარე წლის 20 დეკემბრამდე ტენდერი გამოცხადდება. ორთავე გზის მშენებლობა მომავალი წლის ზაფხულში დასრულდება –გვითხრა ლევან ნინიძემ.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთიერ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- განხილვა, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო მომსახურება
რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100
საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515
კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებსიკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჩხაბათი აციონზე
«ალიონი»

მერიამ საკრებულოს თანამდებობის პირთა საშტატო ნუსხა წარუდგინა

ალიონი. 6 ნოემბერს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მერი სხდომაზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ წარმომადგენლობით ორგანოს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგებლის ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - დადგინების პროექტს წარუდგინა.

პროექტზე მერიის ორგანიზაციის სამსახურის უფროსმა **ლამა თავაძემ** ისაუბრა. მისი განმარტებით, მერიაში მიმდინარე რეორგანიზაციის პროცესებში მუშაობის საშტატო ნუსხით არ იფიქრება შტატების შემცირება, საშტატო ნუსხას ემატება 5 საშტატო ერთეული.

- წარმოდგენილი საშტატო ნუსხა ითვალისწინებს მერიის სოციალურ და ვან-დაცვის საკითხთა სამსახურის შეერთებას მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურთან და სამართლებრივი უზრუნველყოფის და ზედამხედველობის სამსახურთან,

ზედამხედველობის განყოფილების გამოყოფას და ზედამხედველობის სამსახურის შექმნას. პროექტის მიხედვით, თანამშრომელთა გადაყვანა მოხდება მობილობის წესის გათვალისწინებით. - განაცხადა თავაძემ.

დავით მეფანაძე, საკრებულოს წევრი: - გამოდის, რომ 5 საშტატო ერთეულით ზრდით მერიის შტატებს. არიან ადამიანები, რომლებიც ხელშეწყობენ მუშაობას. რამდენი ათასი ლარით გაიზარდა სახელფასო ფონდი და საიდან დადგა შტატების ზრდა აუცილებლობა?

ლამა თავაძე: - მუშაობის ეფექტურობის მიზნით.

დავით მეფანაძე: - უფრო ლამაზ სადღეღობის კვანძებს ეს სიტყვები.

ლამა თავაძე: - დასკვნის სახით საჯარო სამსახურის რეკომენდაცია არსებობს.

ლაგერენტი ბიგვაია, კომისიის თავმჯდომარე: - ეს ყველაფერი მერიის განმარტების ბარათში უნდა იყოს ასახული. რა დეტალური გაცხადდა საკრებულოს ეს

სამუშაო შესვენა ტუბერკულოზის, შიდსის და C ჰეპატიტის შესახებ



ალიონი. გლობალური ფონდის (Global Fund) მხარდაჭერით დაფინანსებული კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (NCDC) ჯანმრთელობის კვლევის კავშირთან (HRU) ერთად ახორციელებს მედია კამპანიას, რომლის მიზანია ტუბერკულოზის, შიდსის და C ჰეპატიტის შესახებ საშუალო საზოგადოების მობილიზაციისთვის ცნობიერების ამაღლება და ცოდნის გაუმჯობესება; პირველად ვანდაცვამ ამ დაფინანსება იტყვევრებული სკრინინგის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება; ინტეგრირებული სკრინინგ-გეგმის გაუმჯობესების და მკურნალობაზე პაციენტთა ჩართვის ხელშეწყობა. ამ თემაზე, გასულ პარასკევს, ქ

ოზურგეთში, სასტუმრო „სემი“ გაიმართა სამუშაო შეხვედრა რეგიონის არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის და სხვა პარტნიორ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

შეხვედრა უძღვებოდა საქართველოს ჯანმრთელობის კვლევის კავშირის დირექტორი **მაია ბუწაშვილი**.

შეხვედრაზე გურიის გუბერნატორის მოადგილე **მისწრაფეშვილი** გამოვიდა, რომელმაც ისაუბრა გურიაში C ჰეპატიტის გამოვლენის, სალინებსა და სტომატოლოგიურ კაბინეტებში „C“ ჰეპატიტის გავრცელების სამიზნობის თვითონ ასაკილუბლად პრევენციული ზომების გატარების აუცილებლობის შესახებ.

ეკალდიდი-ღონაურის გზის რეაბილიტაცია დაიწყო



ოზურგეთი-ნატანები-ურეკის სახელმწიფო მნიშვნელობის გზიდან სოფელ შრომის ეკალდიდი-ღონაურის გავლით ნატანების ცენტრალურ გზაზე დამკვეთრებული გზის რეაბილიტაცია დაიწყო. მიმდინარე სამუშაოები ოზურგეთის მერმა, კონსტანტინე შარაშენიძემ მშენებელი კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა.

6 032 კმ. სიგრძის გზის სამშენებლო სამუშაოებს შპს „საგზაო“ ახორციელებს. პროექტით გათვალისწინებულია: სანაირე არხებისა და მოსახლეობის ჭიმკრებთან მისასვლელის მოწყობა. პროექტი გარდაამავლია და 2 ეტაპად განხორციელდება. სამუშაოების ჯამური ღირებულება 2 358 999 ლარს შეადგენს.



მოთხოვნა? **ლამა თავაძე:** - წარმოგიდგინებ დეტალურ განმარტებებს. ოზურგეთის საკრებულომ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა

თანამდებობრივი სარგებლის ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - დადგინების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმომადგენლობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა

„აქტიური მოქალაქეები უკეთესი გარემოსთვის“- პროექტის კრიზისული

ალიონი. 5 ნოემბერს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, ახალი საგანტო პროექტის „აქტიური მოქალაქეები უკეთესი გარემოსთვის“ პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც **NDI**-ს წარმომადგენლები, პროექტში ჩართული ორგანიზაციების: გარემოს-დაცვითი სათემო ორგანიზაცია „ეკო“, გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრისა და საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის, ასევე რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციისა და მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.


შემდეგ შეიქმნა სათემო ორგანიზაცია „ეკო“, რომელმაც ზემოთ დასახელებულ ორგანიზაციებთან ერთად დააწერეს პროექტი და წარადგინეს **NDI**-ში.

პროექტის აღწერილობითი ნაწილი **ოთარ რევიშვილმა** (გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი) წარმოადგინა. მან აღნიშნა, რომ ოზურგეთის მდინარეებზე მოქმედი ყველა ქვალორდის მოპოვებელი კარიერებიდან გამოძავალი სატვირთო ავტომობილები უნდა აიწონოს, ასევე უნდა მოხდეს მოსახლეობის ადვოკატირება და მათი ჩართვა გარემოს დაცვის საქმეში.

გაზეთი „ალიონი“ მიულოდა, რომ პროექტის ავტორები დამსწრეებს პროექტის ფინანსურ მხარეზე ვადაცხადებენ, როგორ აპირებდნენ ურთიერთობას ადგილობრივ ბეჭდურ და ელექტრონულ მედიასთან, რაზედაც კითხვაც დასვა, მაგრამ პროექტის წარმომადგენელმა ოთარ რევიშვილმა განაცხადა, რომ მათი საინფორმაციო საგანმანათლებლო მუშაობა, ძირითადად მოსახლეობის ადვოკატირებას და ფლეშ-მოების წარმოდგენებს ითვალისწინებს. რაც შეეხება მედიას, საგანტო პროცესის მიმდინარეობისას, ისინი ბეჭდურ მედიაში რამდენიმე მცირეფასიან სტატიას დააფინანსებენ, რადგან საგანტო პროექტის ბიუჯეტში „მცირეა“. სულ 27 ათასი ლარი და ამიტომ სხვაგვარად არ ხერხდება.

პროექტის დირექტორმა **ირმა გორდელაძემ** ისაუბრა მოძრაობა „გად-ავარჩინოთ გურიის მდინარეები“, მიერ ბოლო ერთ წელში დაგვიანდა განხორციელებულ აქტივობებზე და აღნიშნა, რომ მათი გეგმა: ლეგან მგელაძე, გრივოლ მახარაძე, ლეგან ზინიბიძე, ადგილობრივ მედიასთან ერთად მუშაობდნენ გურიის მდინარეების გადასარჩენად.

პროექტი „აქტიური მოქალაქეები უკეთესი გარემოსთვის“ ხორციელდება აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (**USAID**) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (**NDI**) მიერ დაფინანსებული. წარმატებას ეუსურვებთ პროექტის ავტორებს და იმედია, იგი ამ თემით დაინტერესებული ყურნალისტებისთვის უფრო გამჭვირვალე გახდება.



ლიტერატურული გურძია



საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის გურიის ორგანიზაციის ბაზით №2, ოქტომბერი, 2019 ♡

ჩამოცევავე დარბეული ოთხთა მონასტერი და უჯვრო იშხანი...

საქართველოს მწერალთა კავშირის გურიის რეგიონული ორგანიზაციის ქმედებითი თურქეთში



თეძალას (ოთხთა მონასტერი) მონასტერი

24 სექტემბერს საქართველოს მწერალთა კავშირის გურიის რეგიონულმა ორგანიზაციამ, ჩონატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სურების წარმომადგენლებთან და გაზეთ „ალიონის“ რედაქციასთან ერთად, პირველი ხანმოკლე ექსპედიცია გამართა თურქეთში, ისტორიულ ტაოში, ართვინისა და შავშეთის ვილაიეთებში.

ექსპედიცია ფაქტობრივად დაიწყო მაჭახელას – უძველესი ქართული ხეობის (პროვ იური სინარულიძის

მიხედვით, ამ ხეობას „მიჰინიანი“ ჰქვია) ზემო ნაწილის მონახულებით, რომელიც, საბედისწერო ისტორიული ქართველების შედეგად, დღეს თურქეთის საზღვრებშია.

ხერთვისში იქაურ ქართველებს საჩუქრად წიგნები გადაეცემა. ვერ გეტყვით, რომ აღფრთოვანებული შეგვხვდნენ. საშუალო თაობა მეტ-ნაკლებად ფლობს ქართულ ენას, რასაც ვერ ვიტყვით ახალგაზრდობაზე. ვერც ამის სურვილი ამოვიკითხეთ დიდად უმეტ-

სობის სახეზე.

გზა ართვინისაკენ განვარდებით, სადაც ღამე გავითიეთ. ართვინი ძირითადად მთის ციკაბო კალთაზე შეფენილი ქალაქია, ძველისა და ახლის შერწყმით. ახალი ჭარბობს და ქალაქი იშვიათი სილამაზისაა, განსაკუთრებით ღამით. სიძველეთაგან შთამბეჭდავია ქართული სურათიძეობის ძეგლი ართვინის ციხე, რომელსაც „ქაჯეთის ციხესაც“ უწოდებენ.

მეორე დღეს თურქეთის რაიონში, სოფელ თექქელეში მოვიხსნეთ კავკასიელების ციხე. ეს ციხე, მართალია, პატარაა, მაგრამ ძალიან პირქუში და მოუწვდომელია. ცნობილია, რომ ამ ციხეზე ასვლას ექვთიმე თაყაიშვილიც ოცნებობდა, თუმცა დიდმა მეცნიერმა ეს ვერ მოახერხა. ვერ ასულან ციხეზე ვერც დიმიტრი ბაქრაძე, ვერც აკადემიკოსი პავლინიძე და ვერც მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე, იმ დროს ციხეზე მისასვლელი ერთადერთი გზა ჩამორეცხილი იყო.

როგორც ვთქვით, კავკასიელების ციხე მოუვალა, მაგრამ მას სხვა საფრთხე ემუქრება: გამოიცვლია არ არის ციხის ბალაქრამაძე მიღწეულმა ჩამორეცხვებმა კლიოვანი მასის ჩამოშლა გამოიწვიოს, რასაც შესაძლოა სავალალო შედეგი მოჰყვას.

ოთხთაში, მდინარე ჭოროხის

ხეობაში ვნახეთ X საუკუნის ქართული სურათიძეობის ძეგლი და სულიერი სავანე ოთხთა ეკლესია. ტაძარი უძველეს მდგომარეობაშია, თუ სასწრაფოდ არ გატარდა შესაბამისი დონისძიებები, გვიანდელი ხანის ბაზილიკების ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ნიმუში ჩამოიქცევა და გაქვავდება.

ბოლოს ერზრუმისკენ გავსწიეთ. სადაც მაღალ მთაში, ზღვის დონიდან 1760 მეტრ სიმაღლეზე VII საუკუნის უიშვიათესი ძეგლი იშხნის ტაძარი ვიხილეთ. ეს ის მონასტერია, სადაც, ილარიონ იშხნელის დაკვეთით გადაუწერიათ სახარება. აქ 963 წელს შესრულდა ჭედური მოიქროვილი ვერცხლის ვეფარი, რომელიც, წარწერის თანახმად, 973 წელს ილარიონს იშხნის მონასტრისთვის შეუკვეთია. ამჟამად ეს ვეფარი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ინახება.

იშხანი გრიგოლ ხანძთელის დედის დისწულმა და მისმა მოწაფემ საბამ ააშენა IX საუკუნის პირველ ნახევარში. სწორედ საბამ განა დაიწყო იშხანის პირველი ქართველი ეპისკოპოსი. ამ ტაძრის ეპისკოპოსებს იშხნელებს ეძახდნენ. საეპისკოპოსო კათედრამ იშხანში XVII საუკუნის მეორე ნახევარამდე იარსება.

ტაძარს 2016 წელს ჩაუტარდა რესტავრაცია. ვიზუალი მთლიანობაში კარგად გამოიყურება, თუმცა, გუმბათის

ქვემოთა სახურავი მარჯვენა მხარეს არასიმეტრიული ჩანს და, რაც ყველაზე უცნაურია, გუმბათი უგვირგვინია, ანუ არ ადგას ვეფარი.

სამწუხაროდ, ორ დღეში ვერ მოვასწარი სხვა ქართული ისტორიული ძეგლების მონახულება, რომლებიც ამ მხარეში მრავლადია.

დღევანდელი შემადგენლობაში შედიოდნენ: პოეტები – ვეშაპ ღობორჯიანი, ოთხა ტრაპაძე, ვეშაპ კეჭაყაძე, თემურ მარშანიშვილი, ზეზუა გურიელი; მხატვარი – ზაზა ღობორჯიანი; გაზეთ „ალიონის“ რედაქტორი – ნუგზარ ასათიანი; სოფელ სურების კოლორიტები – მამია ბარამიძე, ვასილ რამიშვილი, დავით ტრაპაძე, ლომულ ტრაპაძე, შოთა უნგიაძე; ოპერატორი – შოთა ცხომელიძე.

ექსპედიციის წევრები მაღლობას უხდიან დაბა ნარუჯულ ასალგაზრდა კაცს, გოგიტა ბერიძეს, რომელმაც მძლიოლბასთან ერთად, გილობაც იკისრა და ორივე საქმეს შესანიშნავად გაართვა თავი.

ოპერატორმა შოთა ცხომელიძემ ორგანიზაციას უკვე გადმოსცა ექვთიმეის შესახებ მომზადებული დოკუმენტური ფილმი „მოგზაურობა ტაო-კლარჯეთში ჩვენებურებთან“.

კომუნიკაცია

მე ვემსგავსები...

მე ვემსგავსები დანაცრულ ბუხარს და სამთხოროდ ხელაწვდილ ყმწვილს, წუთისოფელი, ვტირი და ვწუხვარ, რომ სულზე ღიღებს მწვევტავ, მაცლი.

და თითქოს თავზე მეცევა ზეცა, შურისძიებას მიქადის ზეცა, გზებს უთაბოლოდ ვეძებ და ვეძებ, ამაოება გამხდარა წესი...

თუმცა ოდითგან ყოფილა ასე, ეს წესი წესად თანავედევს ყოველ ჩვენთაგანს, ბილწი ვნებებით სავსეს და ვემსგავსებით თანდათან ცხოველს.

ვეშა და სტომამს ვინაყრებთ მხოლოდ, სულიერ შიმშილს გაურბის სული, მე ვემსგავსები მებადეს ბოლოს, რომელიც ბაღნარს ვერ რწყავს, ვერ უწლის...

მე ვემსგავსები დანაცრულ ბუხარს და სამთხოროდ ხელაწვდილ ყმწვილს, წუთისოფელი, ვტირი და ვწუხვარ, რომ სულზე ღიღებს მწვევტავ, მაცლი.

მე თავს მახსენებს ცოლვა უკვე ნაპატივი

თავსნმა წვიმისგან შელახულა ბაღში იები, გაზაფხულდა და გაზაფხულიც არ მიხდა ახლა, მე თავს მასწენებს ცოლვა უკვე ნაპატივი, რომელსაც მეტი სინანული, თვითვემას ახლავს...

მიძმის ვუწყოფედ, რომ გავეცე, ვეფარს ვაცვი ქრისტე, ძალმომრეობა უსუსურთა ხედრია, ალბათ, მე ვემსგავსები თუღას და ვახარებ ღვთის მტრებს, ღვთისნიერება ავითვისეთ ცდომილად, ყალბად...

ჩვენს ქვის გულებზე ვერ დავატიეთ ღვთის ათი მტენება, სათაყვანებლად ჩამოვასხით საიღნების კერა, არც იმას ვნაღვლობთ, სინდისმა რომ ეს დავგანება, რომ უფლის ნაცვლად, გამოგონილ ღვთაებებს ვეტრფით...

ისევე ჩვენვე გამოხსნისთვის ვასწირა პირმშო, ჩვენი ცოდვები აიტანა გოლგოთას მთაზე,

დღეს ამ თვალზე, უსიცოცხლო სიყვარულს ვიშრობთ, არც სიყვარული აღარ გვათბობს, არც მოვარე, არც მზე... რატომღა გვიკვირს, შერევა პერსაკ ფანგი, რა მოგიტანა მარადიულ სულეთთან ომმა? ღმერთო, შენ, ალბათ, ამ სამყაროს პირისგან ალგვი, კიღობის მიღმა არ აგვეცდება სიბრახე, წყრომა...

მოწყალე რომ ხარ, ამიტომაც არა გვაქვს რიდი, მიღრეკილა ჩვენი გული სათვის ქნისკენ, როცა ვემო და ფანტელეზად მანანას ყრიდი, შენივე მიძართ სიყვარული სულ ვერ გავრისკე...

თავსნმა წვიმისგან შელახულა ბაღში იები, გაზაფხულდა და გაზაფხულიც არ მიხდა ახლა, მე თავს მასწენებს ცოლვა უკვე ნაპატივი, რომელსაც მეტი სინანული, თვითვემას ახლავს...

სოფიო
ღღონტი
ნეთისოფლო, ვცინი
და ვწყებავი,
პომ სულზე ღიღებს
მანყვიცავ, მაცლი.



როცა გავიგე, სიყვარულით მოგვიპოვე...

ყო წვიმა, ცეცხლის წვიმა, მერე წარღვნა... გადავური ამგვარ სიკვდილს, როგორც ნოე, ცისარტყელა აკაფდა მაღლა ცაზე, როცა გპოვე, სიყვარულით მოვიპოვე...

კიღობანი შენი თბილი მკლავებია, სულს რომ მითბობს, ნეტარებას მაზიარებს, ასე ძლიერ ვერ არავინ მგვარება, მაგ ამბოროთ რომ მიმუშებ ძველ იარებს.

ასე ძლიერ ვერ არავინ მგვარება, ზოგჯერ გარეთ, ქარიშხალი, ქარება, შენს წინაშე, ვკლავ რომ ამეფარებან, ღმერთო ჩემო, ეს რა ურჩი ქარება?!

ყო წვიმა, ცეცხლის წვიმა, მერე წარღვნა, გადავური ამგვარ სიკვდილს, როგორც ნოე, ცისარტყელა აკაფდა მაღლა ცაზე, როცა გპოვე, სიყვარულით მოვიპოვე...

სტუმარი



ინგა გოგობერიძე - საქართველო. ქ. ბათუმი.
 ინგა გოგობერიძე არის ქალაქ ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი, პროზაიკოსი, ექვსი პროზაული წიგნის ავტორი, ცხრა ლიტერატურული კრებულის „ჩანაწერები ინგას უბნიდან“ რედაქტორ-შემდგენელი, მშობლიურ ქალაქზე საინტერესო პროექტის „ბათუმი“ ავტორი და ორი ლიტერატურული კრებულის რედაქტორ-შემდგენელი. ინგა გოგობერიძე არის ასტრიდ ლინდგრენის სახელობის საერთაშორისო პრემიის- „ქალი, რომელიც ბავშვებს უკითხავს წიგნებს“ 2016 წლის ნომინანტი.

მინიატურები

სიყვარულის შარვი

შარვის მოქსოვა რომ ჩაიფიქრე, ძლივს ამოვარდნი მხისფერი დიდი გორგალიდან ძველი წვერი და პირველი თვალი ამოვიყვანე. ჩხრები, რომლითაც ქსოვა დაიწყო, გრძელი, ვერცხლივფერი რკინის ვოხები იყო, დაბოლოება კი პატარა ბურთები ჰქონდა, ნაქსოვი რომ ხელიდან არ გაგსრიალებოდა და არ გაპარულიყო. ძნელი დარჩა პირველი ათი რიგის ამოყვანა. ამოვიყვანე სიყვარულის თვლებს, ჩხაკი - ჩხუკი იმხნა ჩხრები უჩუმრად, მაგრამ ხმაურით. მინდობდა ჩემდ მექსოვა სიყვარულის შარვი, მაგრამ რკინის ჩხრებმა არ მომცა საშუალება სიჩუმეში ყოფნის. სიყვარულის შარვის ძაფებიდან და საჩხაკუნო ჩხრებიდან ისეთი ხმები გამოდიოდა, გვერდებზე ფოლადი იწრითობდა. რამდენ თვალს და რიგს ამოვიყვანდი, იმდენი სასიამოვნო ჩხაკი-ჩხუკი იღვრებოდა ჩემს სულშიც. ქსოვა დიდ დროს მოითხოვს, მაგრამ კარგი განცდაა. მხოლოდ ამ ხელსაქმისთან შეგებოდა გამართლებული და შენი გრძობების გორგალი თავად მოქსოვო, გინდა ათი რიგის მოქსოვის შემდეგ სულაც გადადებ და კარადში შეინახავ, ხომ იცი დასამთავრებელი რომ გაქვს შარვი. გული კი სიხარულით სავსე.

მოვა დრო და მიუხერხებელი შარვის, გაიფიქრებ და აყოველთააობაში გადახვალ. შარვი კი დღეს მარტო მარტო კარადში და თავის რიგს ელოდება.

- მომბეზრა ამ რკინის ჩხაკებმა თავი, გაიფიქრებ ახლა და რკინის ჩხრებს ხის ჩხრებით შეცვლი. ხე

შენთან ერთად სუნთქავს, გრძობს შენს მოძრაობებს და მოგწყება ისე, როგორც სიყვარულის გორგალი. ძაფი ახლა უფრო ადვილად ამოდის გორგალიდან, თითქოს ისეთი მრგვალიც აღარ არის თავიდან რომ იყო. ისევ გვერდზე გადადებ სიყვარულს... ვერაფერს მიმხვდარხარ... არადა, სულ შენთან გინდობდა რომ გყოლოდა. კვლავ ყოველდღიურობაში ველოდი.

მოვა დრო და მიუხერხებელი შარვის, გაიფიქრებ. შარვი კი დღეს მარტო მარტო კარადში და თავის რიგს ელოდება. ელოდება, ისევ როდის ახმაურდება მისი ჩხრები, როდის დატრიალდება სასიამოვნო გორგალი და სიყვარულის ძაფები თავისთავად გაიფიქრებ გზას. სიცოცხლის შარვის ქსოვას დიდი დრო დასჭირდა, თითქმის მთელი ცხოვრება. გამოიწრით იგი ფოლადით ვრდებოდა, ადრეაქნა სიყვარულის ნერვები. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც შენ გინდობდა... მხოლოდ ის დრო გამეპარა ხელიდან და ვერ მივაგენი, როცა ჩემი შარვის დასრულებისას, ჩხრებზე პატარა ბურთები აღარ იყო დამატებული, ისინი საუკუნო რგოლებით იყვნენ შეერთებული და არსად გადავარდნას არ აპირებდნენ. ალბათ ამრგოლებს ელოდებოდა მიტოვებული შარვი და გორგალი ამდენ ხანს შენს კარადში.

შარვის მოქსოვა რომ ჩაიფიქრე, ძლივს ამოვარდნი მხისფერი დიდი გორგალიდან ძველი წვერი და პირველი თვალი ამოვიყვანე.

სიყვარულის ელემსირი

გწამდა, მალე დადგებოდა გაზაფხული და ისევ ჩხრებით წამოვიღებოდა შენი საძიებნის დოქიდან სიყვარულის ელემსირი. ეხლა კი, წელიწადის ოთხეულ დრო მონაცვლეობით გატყობინებდა სიყვარულის მახლობლას. შენ განუწყვეტელი მობოდი მის შესახებ ვარდ. გაზაფხულზე, პირველად, რომ დაინახე შენსკენ მომავალი ვეგონა სხვასთან მიდიოდა. აბი-ინებულ მინდორში იმდენი ლამაზი ქალბატონი კრეფდა ყვავილებს, თავბრუ დაგვეგვოდა. მან კი შენ ავირჩია. ჩვეულებრივი, სუსტი, მწაუნე თვალების ააბიურეი ჭრითი... ჰოდა, ამ თვალებში, რომ ჩაგხედავდა, გაიწყობოდა, ქვეყანაზე სიყვარულის გარდა რამე თუ არსებობდა... ჩაფლობოდი ვარდების სურნელებში, ხელს მოხვევდი იებსა და ენებლებს, მზის გულზე დაწებოდი და ასე თბებოდი იმ სიყვარულის წვეთებით, საძიებნის დოქი რომ აგროვებდი. სიყვარულის ვადოსნური ელემსირი - ასე ეძახდა იგი ამ დოქს... როგორ მოგწონდა, როცა ფრთხილად, ჩემდ, ამ დოქიდან სიყვარულის ერთი წვეთი ელემსირის დაღვას მოთხოვდა... სწორედ მაშინ დაიწყებდი ტყუილებს... იცი? გუშინ დიდი სეტყვა მოვიდა, ჭექა-ქუხილმა არემარე გააფრუა, დოქი გარეთ დამრჩინოდა, მეხი დეცა, ელემსირი კი დამექ-

ცა. ამ ტყუილზე ისე გულიანად გაცივებდა, ზაფხული შორსაც რომ ყოფილიყო, მალე მოვიდოდა. მზე თავის სხივებს უხვად მიმოფანტავდა ამ ლამაზ ველ-მინდორებზე. მერე დარბებობდა ცისფერი წვიმა წამოვიდოდა და ისევ აივსებოდა დოქი სიყვარულის ელემსირით. არც შემოდგომაზე უჩიოდი სიყვარულის ნაკლებობას. პირიქით, ამ დროს ქარი იმდენ ყვითელ ფოთლებს მიმოფანტავდა მინდორზე, რომ იბნეოდა შენი სიყვარული. გამხმარი ყვითელი ფოთლები, პეპლები ვეგონა და ისევ, როგორც გაზაფხულზე და ზაფხულში თბებოდი სიყვარულით და იმ წვეთებით, რომელიც, როგორც ანკარა ნაკალული, ისე მოედინებოდა საძიებნის დოქიდან... მხოლოდ ზამთარში უჭირდა შენს სიყვარულს, როცა მზე ნაკლებად გიღებოდა... როცა სუსხი და ყინვა ძლიერდებოდა, როცა სულ ქარი იყო და წვიმა. როცა მართლა გემინდობდა ჭექა-ქუხილს არ დაეზინებინა შენი სიყვარულის დოქი... ახვევდი ბუბის ნაწიქარ ჭრულ თავშალში და თბილად ინახავდი ბუბრის თავზე. იცოდი. აქ ვერც თოვლი, ვერც ყინვა და ვერც სიბუბილი ვერ მაგნებდა... გწამდა, მალე და დგებოდა გაზაფხული და ისევ ჩხრებით წამოვიდოდა შენი საძიებნის დოქიდან სიყვარულის ელემსირი.

კალამი

...კალამი, რომლითაც ის წერილებს წერდა, ჩვეულებრივი არ გახლდათ... კალამის წვერიდან, მელანთან ერთად იღვრებოდა საოცარი საქმეები, სიტყვები სიცოცხლეზე და სიყვარულზე... არა. მართო სიყვარულზე არ წერდა მამა... როცა კალამს მოიმარჯვებდა, თითქოს ცა გაიხსნებოდა და ღრუბლებიდან წვეთ-წვეთობით იღვრებოდა ნათელი... გრძელი და შორი გზა ჰქონდა ამ ნათელს ჩვენამდე ჩამოსასვლელად და აბიბოდაც უჭირდათ ადამიანებს... ელოდებოდნენ... დიდხანს, დიდხანს უცდიდნენ, რათა ავესით პატარა კასრები და მან წაეღოთ. ყვე-

ლას ხომ თავად უნდოდა სიყვარულის და სიკეთის მიუხველი და განმანაწილებელი ყოფილიყო.

...“მარჯე მამა კალამი! გთხოვ, ეს კალამი მის-ანსივრო“- მუდმივად ვეფიქრობდი გულში, მაგრამ თქმას ვერ ვბედავდი... მეგონა თუ იმ კალამს ავიღებდი ხელში, მეც ისე დავწერდი ამქვეყნიერების ბედ-დაბალებზე, როგორც ის... მეც ისე ვიწუხებდი, როგორც ის! აბა, რა ვიცი, რომ კალამი, რომლითაც ის წერდა, ჩვეულებრივი არ გახლდათ... მასში, მელანის ნაკვალავს, სისხლი იყო ჩასხმული, მისი გულიდან წვეთობით ჩამოხადებოდა.

პოეზია

ნინიკო მუვილოზაძე

ჩემო ძვირფასო,
 ნენისთვე
 იმიტომ მოდის,
 რომ მიტყნის
 ვეიბევირები თავზე
 დაეკადეს...



ოთხი მინიას უბნების

1. *****
 უძილო ღამეს შეგვაჩვია ჩვენ
 ბედისწერამ,
 და ღამეებზე,
 როგორც ვკვარზე,
 ისე ვეგნებით...
 სხვა რაღა გზა გვაქვს:
 გადავზომთ მანძილები და
 ჩვენს ცრემლიან სიყვარულზე
 ვწეროთ ლექსები...
2. *****
 ეს გაზაფხულიც უხმაუროდ,
 ჩუმად დაიწყო...
 მიყვარხარ-მეთქი -
 კი ვიტყვოდი,
 ვინმე რომ იყოს...
 არავინაა...
 ფეხაკრეფით დადის მირკანი...
 და რაკი არ ხარ,
 ვერაფერიც ვეღარ ვითხარი...
3. *****
 და როცა ახლოა გოლგოთა
 და თვალებს ემჩნევთ დაღლა,
 შენ მკითხავ მარტივად:
 - როგორ ხარ?
 მეც ისე გაასუხობ:
 - კარგად...
4. *****
 მე ვამბობ:
 გააკოვრე და მოვირჩინე სატკი-
 ვარს...
 შენ ხვდები:
 შენ გამო მე რამდენს ავიტან...
 შენ ამბობ:
 მიყვარხარ ყველაზე
 უბრალოდ...
 მე გსუნთქავ და ვფიქრობ:
 მადლობა, უფალო...
 მე ვიცი,
 რომ შენი უთქმელი სიტყვა
 ვარ...
 და ახლა მეც ვამბობ:
 უბრალოდ, მიყვარხარ!...

ვიცი, რომ

ცა თეთრმა ბილიკმა გახაზა,
 ცას გუცქერ, ცა ქუდად მასუ-
 რავს...
 ვიცი, რომ:
 გიყვარვარ -
 ცალსახად...
 ვიცი, რომ
 მიყვარხარ -
 მას უკან,
 რაც გნახე, რაც მნახე,
 რაც გნახეთ -
 ჩვენ ორმა ჩვენზე თვალები...
 ჩვენ ტკივილს ხელები
 შევასეთ...
 ვაკენესეთ ნოემბრის ქარები...
 და მერე ვითვალეთ უკუღმა:
 სამი და ორი და ერთი და...
 ცა თეთრმა ბილიკმა გახაზა...

და გრძობა თერგივით მოდიდა...
 რა გზა...
 რა მწველი გზებია...
 ხელები შევასეთ ტკივილებს...
 შემგროვებელი ვარ,
 ვაგროვებ:
 შენ სიტყვებს,
 შენ მზერას,
 ღიმილებს...
 ცა თეთრმა ბილიკმა გახაზა,
 ცას გუცქერ, ცა ქუდად
 მასურავს...
 ვიცი, რომ:
 გიყვარვარ -
 ცალსახად...
 ვიცი, რომ
 მიყვარხარ -
 მასუკან...
**მაკონდოს
 ღამეები**
 ვითვლი ღამეებს,
 მაგისცემას ვითვლივთ თითქოს,
 ვითვლი თვალებში ნაპე-
 რწყალეებს,
 ჩემთვის რომ განდენ...
 ჩვენ ერთმანეთის სიყვარული
 ღიმილით ვზიდოთ,
 სხვებმა არაკვიონ მანძილები
 ერთმანეთამდე.
 წვიმს...
 ბუენდია,
 ავეისტო არადა, გარეთ,
 ამ ბებერ ქალაქს მაკონდოსი
 დაკრავს იერი...
 მარტობისგან დაღლილებმა
 სუნთქვები ვთვალეთ,
 და ხარბად ვკოცნეთ შეყ-
 ნული ტუჩებს სიტყვები,
 რომლებიც
 ვერსად,
 ვერასოდეს,
 ვერაფრით -
 ვერ ვთქვით,
 ვარიდეთ ჭორებს,
 ვარიდეთ შურს,
 ვარიდეთ ბოღმას...
 წვიმა გარეთ...
 ავეისტო...
 მუსიკა სევდის...
 უნდა გავკროდეს:
 წავალ, მაგრამ თავიდან მოვალ,
 რომ ისევ გეძებ მიტევებად
 ჩაღნილ ცოდვის,
 გულში ჩაგვიკრას
 სიყვარულით მოვრალმა ქალაქ-
 მა...
 ჩემო ძვირფასო,
 ენკენისთვე იმიტომ მოდის,
 რომ მიტყნის ვეიბევირები
 თავზე დაგვადვას...
 ვიცი...
 ბუენდია,
 მაკონდოა თითქოს ქალაქი...
ღამილოცა
 ეს გათენებები დამილოცე,
 ეს გათენებები - ფერადები...
 მე რომ ხელები დაგიკოცნო,

მე რომ თვალები დაგიკოცნო,
 მე რომ ტუჩები დაგიკოცნო -
 ისე მტკივნეულად მენატრები...
 ჰოდა, ფიქრები მომაშველე,
 ჰოდა, სიტყვები მომაშველე -
 გვედრები...
 თორემ ნაბიჯები ამერევა,
 თორემ წყალივით
 დაგედვრები...
 თორემ ჩემი გზებიც დაიღვრა,
 თორემ გზებზე ისე
 დაგედვრები...
 გამომილოცე და შემილოცე,
 რომ არასოდეს გაგეთვალო,
 რომ არასოდეს გაგებზარო,
 რომ ქარში აღარ დაგვეანტო,
 გაწყვეტილი მძივის
 მარცვლებით...
 შენ ჩემი სული ხელი ვიპყრია,
 შენ ჩემი სული ხელისგულზე
 დაიტე და ეფერები...
 მე რომ თვალებში ჩაგიკრე,
 მე რომ სისხლმარდებში
 ჩაგიკრე,
 სულის ხვეულებში ჩაგიკრე -
 მენატრები...
 ჰოდა, მოდი და მომეშველე,
 ჰოდა, სიტყვებით მომეშველე,
 სიხმრის აცხადებით
 მომეშველე -
 გვედრები!!!
ძალაში
 აქ, ამ ქალაქში,
 სადაც ყველა ბილიკი
 მიცნობს,
 თვალებდახრილი დავდივარ და
 მაინც უცხო ვარ...
 მოხვეული მაქვს მხრებზე ჩემი
 ასაკის სილბო...
 ქალაქს კი,
 ქალაქს ისევ ენაჭა გოგო
 ვასოვარ...
 დავდივარ მარტო,
 მიჩქარდება სუნთქვა მალი-მალ,
 მიჩქებ ყველა გზაწვრილსა და
 ყველა გზა-შარას...
 წუხელ ავეისტოს
 მხიარული წვიმით გაწვიმა
 და დილით ცაში ტორილებმა
 შეკრეს კამარა...
 ქალაქსაც უცებ გააზმორა
 ტკილი ზმორებით...
 ქალაქი, მე რომ დარდიანი
 ტრფილით მიყვარს...
 შეყვარებული ნეკერჩხალი
 განმარტოებით დგას...
 შარიშურით მიჩურჩულებს
 წუხანდელ სიხმარს...
 მე კი, მე ისევ მარტო ვარ და
 დავდივარ მარტო,
 მხოლოდ თვალებით
 დავატარებ,
 სიხმარს გინახავ...
 რომ როცა გნახავ, მოვიყვებ და
 შენაც ვაგათბო
 სიხმრით, რომელიც,
 მერე რა, რომ შენ არ გინახავს.

კოეზია ჯეაქ დობორჯბინიძე

„ძივარეა ძვალის ნაჭერი და ამ ნაცხებით ვკახძმოძ...“



მერცხლისებრ ამ ჩვენს ბელურას
არ შეუძლია გალობა,
მამული უყვარს გლეხურად
და სახლში კაი ქალობა.

ემიგრანტი და მიგრანტი –
მერცხალი სითბოს მღევარი,
მიჯობს ბელურას ნისკარტი,
მამულის ღამის მთევარი.

შენი გაძლება მაცვებს,
მამულს რომ ეტრფი გლეხურად,
მოვალ ნისკარტზე გაკოცვებ,
შენ გენაცვალე, ბელურავ!

ბელურა

შენი გაძლება მაცვებს,
მამულს რომ ეტრფი გლეხურად,
მოვალ ნისკარტზე გაკოცვებ,
ფრთხილად მთევარილო ბელურავ.

ღილით გრძნობს სითბოს მეცხვარე,
მიწას აღმოხდა ენძელა,
სულ მალე მოვა მერცხალი,
უიმისობაც გვეძნელა.

უცხოეთიდან მამულში დაბრუნებისას თქმული

ფეხთ კვლავ ტალახი მაცვია,
ცა მხურავს – სვანის ქული,
ერთი ყარბი კაცი ვარ,
ღარღი მკილია გულით.

მთვარეა მჭადის ნაჭერი
და ამ ნატყნით ვვანშობ
და ცრემლის კერძით გაძეხი,
კენესას გულშივე ვახშობ.

შენზე სიმღერა მწადაია,
იმელი შენ ხარ მაინც,
ეს შეიდი წელიწადია,
ვგავარ ლამანწელ რაინდს.

ფეხთ ხომ ტალახი მაცვია,
ცა მხურავს, როგორც ქული,
ერთი ყარბი კაცი ვარ,
მაინც შენ დაგიბრუნდი.

ორთქლი და სუნი ასდის,
სითბოსგან გაგებრებულვარ,
მზემ ბეჭზე დამკრა თათი.

დავქორწინდები, ენძელავ,
რახან მიბოძე ხელი,
ვიქნები ასე დღევრებელი
და აესებული ღზენით.

ჩიტის წყალობა მღვიძებს,
თებერვალა, თბილა,
საყვარელ დედას გაფიცვებ,
ხოა ნანატრი დილა?

ჭიანჭველას დატირება

თვალცრემლიანი შენს ცხედართან ვარ

ჩაცუტული,

დედამიწაზე შენ ყველაზე გვეს ღონიერი,
შენ აღარ სუნტკე, შენმა სიკვდილმა მომიკლა გული,
არ დაიჭერო, თითქოს ყველაზე ვარ გონიერი.
აქ ბრძოლის ველზე შენ დაეცი, ძმავე,

ჭიანჭველავ,

აქ შენთან ერთად სხვებიც წვანან მარადი ძილით,
ერთურთს შეაკვლით გულფიცხები უაზროდ ყველა,
აქ ნამალ კლდედთან ახლა მეფობს მხოლოდ

სიკვდილი.

ერთ მუჭა მიწით თქვენ დაგკრძალეთ სულ ყველა ერთად
და ჩამავალ მკვდრის მუხს გაგხედე წყრომით,
დე, ყოველ სულდგმულს გადმოგხედოს მაღლიდან
ღმერთმა,

ძმობა, ერთობა იყოს ქვეყნად და არა ომი.

თიბერვალა თბილა

ჩიტის გალობა მღვიძებს,
თებერვალა, თბილა,
საყვარელ დედას გაფიცვებ,
ხოა ნანატრი დილა?

მიწა წყლით გაფუებულა,

ასლები

რეზი ცინცაძე

მე ვსვამდი მოხუც ყატთან ერთად და ფოთლუბის ქაბთან სეჩვას ვუსტკობდი...



„ყვითელი ფოთლები“

გარედან თითქოს ვერვინ მხედავდა,
ვიმალეობდი სავსე ფურცლებით...
მე ვსვამდი მოხუც კაცთან ერთად და
ფოთლების ქაბთან ცეკვას ვუსტკობდი...

აღარ ტოვებდა ცხელი მზე ფარდას,
როგორც დიდ სცენას მცირე არტისტი,
მე ვსვამდი მოხუც კაცთან ერთად და
ის რას ფიქრობდა, ახლაც არ ვიცი.

ოთახი მყუდრო, ღუმელს ბედავდა

და იცლებოდა განცდის საცავი,
ვსვამდი იმ მოხუც კაცთან ერთად და
ის მიფურებდა მე ღვიძლ ძმასავით.

გარედან თითქოს ვერვინ მხედავდა,
ვიაყვი თავის მტერი, ხან მცველიც,
მე ვსვამდი მოხუც კაცთან ერთად და
გარეთ უკრავდა ქარზე ყანწელი...

* * *

გზა რა გზით უნდა წავიდეს, ან ადრე რა გზა
მონახა,

ცა ვერ ეგრდობა მონასტერს, ღია სივრცის კარები.
წირვას ადგენს მამო, გარედან ისმის მოლას ხმა,
ცაზე ქარს მიჰყავს საწვიმრად მღვრიე და
ქვრივი ქალები.

ფოთლები გვანან იმ აზრებს, რომლებზეც აღარ
ფიქრობ და

გაყვითლებული ქაღალდი ცის ნაჭურია ესოდენ...
ფანჯრის რაფიდან მხატვარმა სამყარო გამოიგო-
ნა

და გონებაში ფერები უბრალოდ მეფობენ.

გადის დრო, ოქტომბერია, ცას შემოდგომა

ცვივა,

ბევრი რამ უნდა მოგვესწრო დაზამთრებამდე
ამ წელს

და მართალია, ამავესო ხმელი ფოთლებით წვიმამ,
შენ არაფერზე იღარდო, მე როცა აქ ვარ და
ვწერ...

გადის დრო, ოქტომბერია, ცას შემოდგომა

ცვივა,

თითქოს ჩურჩულით აუბა გარემომ წვიმას
ბანი

და მართალია, წამშალა გადაღებულმა წვიმამ,
თვალდანი ვერ ამომივლო შენი მთროთლვარე
ტანი.

გადის დრო, ოქტომბერია, ცას შემოდგომა

ცვივა,

ბევრი რამ უნდა მოგვესწრო დაზამთრებამდე
ამ წელს

და მართალია, ამავესო დღეს იმედებით წვიმამ,
მაგრამ მე... შენ გელოდები და რა ხანია, არ
ვწერ.

ნუბზარ ჯორბენაძე

ვხატავ ამაოდ, მეტი რა გზა მაქვს. მე ხომ დღეს ხატვით ცხოვრობა ეაძაქვს.



მხატვარი!

სველი თითებით გვირილას ვხატავ,
ყვავილს, რომელიც ძლიერ გიყვარდა,
წამებს იმ დღისთვის შემოვიწახავ,
როცა მოხვალ და ჩემს ნახატს ნახავ.

მუდამ მარტო ვარ საკუთარ თავთან,
ქაღალდს გავანდე უნიჭო განცდა,
მუდამ გნატრობდი და გნატრობ ახლაც,
ყვავილთან ერთად, შენს პორტრეტს ვხატავ.

როგორ დამალა ერთფეროვნებამ,
იდუმალეობამ და მარტოობამ,
ვხატავ ამაოდ, მეტი რა გზა მაქვს,
მე ხომ დღეს ხატვით ცხოვრება გამაქვს.

მხატვრად მაქცია სიშორის დაღმა,
იმ სიშორისა, შენგან რომ დამევა,
ვხედავ, ნუგეში სულ აღარ დამჩნა,
ვხედავ, ოთახში განწირულს ვგავარ.

სველმა თითებმა ძალა დაკარგა,
ასე მგონია, გვერდით არვინ მყავს,
დავრჩი ორგული დარდის ამარა,
ვხატავ ხანდახან ღრუბელს პატარას.

სიბერე

გამჩნევ, წლები ისე ჩქარა გავიდა,
სიყმაწვილის მზე ღრუბლებში ჩავიდა,
სიბერისგან სული თითქმის გაცივდა,
ვნების ტოტებს, ჩანს, ფოთლები გაცივდა.

მე ცხოვრებას ვერ დავიწყებ თავიდან,
თუმცა კეთილს განვასხვავებ ავიდან,

ბრძოლით შვების კარში გოლს ვერ ვავიტან,

სხვა რა გზა მაქვს, ბედს უფერულს ავიტან.

წლებს, გარდასულს, ვუთხრა ცუდი, არ მინდა,
ვერძნობ, მერცხალი, ჩემთან ყოფნა არ გინდა,
მივხვდი, ჟინს რომ ვერასოდეს ვავიტან
ღრმა სიყვარულს ცივ საფლავში ჩავიტან.

ბოლოს, ბებერს მეგობარი დამჭირდა,
ვიღაც შეველას სულ ტყეუილად დამპირდა,
სად წავიდე თუ გავიდი სახლიდან,
გადმომხედე, ღმერთო ჩემო, მაღლიდან.

საოცრება

აივანზე მჯდარი მტრედი,
ჩანს, რიჟრაჟზე ჭკუას კარგავს,
ცისარტყელა ნაკადულის
საპატარძლო კაბას ქარგავს.

დარის სარგო აღტაცება
ხმელეთს თხრობის კუნძულს სძალავს,
მთის უმწიკლო დალალები
ემოციებს ვეღარ მალავს.

წყნარი მინდვრის მწვანე პიჯაკს
ჭრელი პეპლის ბაგე მართავს,
პაწაწინა ფრინველები
ერთხმად შიშთა წუთებს მარხავს.

ტყის აღზრდილი იები კი
უჩვეულო იმედს სახავს,
განცვიფრდება, ყოველივეს
თუკი ვინმე თვითონ ნახავს.

პოეზია

თემურ მარშანიშვილი

რით ჰქნო ლექსში
ჩაეცო.
სულ ეს ყოფილიხაბ.
სამყარო!..



ოტია ტრაკაიძე

ყვლაზე ყაბე
ლექსის დანება
ჩქმა სურება
ქეძაძლქბინა



გამილხვე სისხლში გაყინული პლაზმა

ყოფნა-არყოფნა – რომელი ღირს საქაოში?
ამ კითხვამ დამხრა, როს ჩავედი ჩვენს ძველ ტაოში,
როს ნაღვლიანი მზერა მესროლა ლაზმა,
ძარღვებში სისხლის გამყინა პლაზმა...

მეველიძე: ჩამოგაკითხე, ლაზო,
ეგების ერთად მოგვექნა ლაზო,
დაგვეჭირა და გაგვეხედნა ლაღად მუსტანგი,
ჩამოვითანე უნაგირი, ლაგამ-უნაგვი.

რა ცივად შემხვიდი? მუხლი მომეჭრა, ჭიშკარს
მოვზავდი,
მე იმის დედაც, ვინც დაგავიწყა სიტყვა
„მობრძანდი“!

ჩემო ჯიშო და ჩემო სისხლო, ლაზო ლამაზო,
არ გაბრიყვედე და გულის კარი არ გამორაზო!
დაღუმბებული დამხვდა შენი ცინე-ბურჯები,

კირით და კვერცხით რომ ვაშენებდით ერთად
გურჯები.
ამ ლექსს საერთო არაფერი აქვს, ძმაო,
ოსკართან,
უშენოდ, ლაზო, რა მესაქმება ვინმე ოსმალითან?!

გახსენი წარბი, იტოკე ისე, როგორც ტოკავდი,
მომხდურს კი არა, მოსულს მითხარი სიტყვა
„მობრძანდი“.

არ გაიხადო, არ შეიცვალე შენი სამოსი,
აგამზიანებს მშობლიური, მშვიდი ტაროსი.

აქ არაფერი დამიწერია, უფრო მოვწალდე,
ო, როგორ მინდა, ისევე გესტუმრო, ისევე
მობრძანდე

და როგორც კაცმა, როგორც ნამდვილმა ლაზმა,
გამილხვე სისხლში გაყინული პლაზმა...

სამყარო

ზოგისთვის მთელი ცხოვრების,
ზოგისთვის წამის სამკალო,
მავნათა დიდი ნადიმი,
მავნათა მხოლოდ სამხარო,
ზოგჯერ მწარე და სამსალავ,
ზოგჯერაც ყინულ-შაქარო,
ხან უწყინარო, ხან დელემავ,
ხან მორეო და ხან მყარო,
ხან გუმინდელი მეცხვარე,
ხან ანტიკური სარქალო.
ქარაშოტებში ნაბრძოლო,
ქალის სურნელით დამთვრალი,

ხან დახუნძლული ვენახო,
ხანაც პანტის ხე, გამხმარო,
ათასჯერ დაბრუნებულ
და უფრო მეტჯერ გამქრალი,
დღიდან შექმნისა, კაცისგან,
წაუკითხავო ანბანო,
ზოგჯერ ბნელიყო, ქვესკნელი,
ზოგჯერ ნათელი ცარგვალო,
შენზეც უნდა ვთქვა რაიმე,
რომც წუთისოფელს გამყარო:
ერთ ბეწო ლექსში ჩაგტიე,
სულ ეს ყოფილიხარ, სამყარო!..

ართვინი

პირველად ვნახე ართვინი ახლა,
მარამ რატომღაც მგონია დღემდეც,
წიგნით ვიცნობდი მის კლდოვან მხარეს,
ძველ საქართველოს ჭაღარა ქედებს.
თქვენ, მეგობრებო, ნუ გაიკვირებთ,
რომ ამ ქალაქის ხოტბას ვაბირებ,
ვისხენებ მე მის ქართულ წარწერებს,
ჩაწუქურთმებულს მაღალ საღ ტინებს.
დიახ, ქართული სული აქვს ახლაც,
ამიტომ მიყვარს მე ეს ალაგი,
აქ ხომ ოდესღაც დავითს და თამარს
უშენებათ კლდეში ქალაქი.
ჰქონიათ უხვად საღი აზრები,
უშენებათ ცამდე ტაძრები,
მათ დასაცავად ერსაც და ბერსაც
ასხმული ჰქონდათ ტანზე აბჯრები,
რომ მტერს ვერასდროს ვერ დაეღუწა

ციხე, გოლოლი თუ კარ-ფანჯრები,
რომ ერთხელ მაინც ამოგვესუნთქა,
ქარქაშს ჩაგვევო ბასრი ხანჯლები,
რომ დანახვაზე ქართველი კაცის
შიშს მოეკუნტა ავი აფორები,
მერე აგვეშვა ცის სილურჯეში
თავისუფლების მჭოლი აფრები.
საუბედუროდ ხანი გამოხდა,
სიკვდილი იყო, მარცხი, რაც მოხდა,
ერთი ერთზე რომ გარბოდა ძრწოლით.
ათმა ერთს ბოლოს დაგვეძლია ბრძოლით.
მაშინ მომხდური უნდო ოსმალი
დღეს აღარ არის თითქოს მტერია,
ვერ ვართ მომსპარი, კლდოვან ართვინში
დღესაც ქართველი ერის მტერია...

24 სექტემბერი, ართვინი – სურები.

სურეპული მუზეუმით დასეტყვილი ლექსი

ისეთი ლექსი მინდა დავწერო,
რომ აჩანქერდეს შმაგი ცხოვრება,
ვიცი, რომ ჩემი ხმა სევდიანი
ჩემს მშობელ სურებს ემასხოვრება.

არად ვაგებდი მე უცხო მხარეს,
თუნდაც სამოთხის ბაღი მეზოვნა,
მესიზმრებოდა ჩემი „გუმბრალა“,
სიმღერის ექო – „გოგინა-გოგონა“.

ემასხოვრება, მუზის სეტყვაში
როგორ ვიწვოდი, როგორ ვდნებოდი
და ამ უკუღმართ ბედის ტრიალში
უსამართლობას ვეჭვიდებოდი.

ვერ მიგატოვებთ, მთებო, ვერასდროს,
თქვენ ხომ ჩემს გულში დაიდეთ ბინა,
ყველაზე კარგი ლექსის დაწერა
ჩემმა სურებმა შემადლებინა.

ამერიკას


ცოტა ვინმემ დაგვიფასა
მეგობრობა ნაღდი – ძველი,
ახლა შენ ამოგირჩიეთ,
არჩევანი გვექონდა ძნელი

საქართველო ბებერია,
შენ ჯერ მხოლოდ სამასის ხარ.


მეგობარიც ბევრი გყავდა,
ბევრთან ვიყავთ მამასისხლად,

თუ სიდიდით გაიპრანჭვე,
რაც ზემოთ ვთქვი, მუქთად მითქვამს,
შუა სურებს, ჩემს ეზოში
მე შენი ხნის მუხა მიღვას.

ზაზა დობორჯბინიძის ჩანახატები თურქეთის ექსკავიციდიდან



ართვინის ციხე




იზხანო



კავასანიშვილის ციხე

რედაქტორი: თემურ მარშანიშვილი

სულიკო ჟღენტი



ქართველმა მწერალმა და სცენარისტმა, საქვეყნოდ ცნობილი ფილმების ავტორმა სულიკო ჟღენტმა, შემოქმედებით სარბიელზე გამოსვლის დღიდან დაიშინა ხალხის ყურადღება და პატივისცემა. მისი ნაწარმოებების გმირები ყველა თაობის საყვარელ და მისაბამ პერსონაჟებად იქცნენ.

სულიკო ჟღენტი დაიბადა 1925 წელს, ჩოხატაურის რაიონის სოფელ სამებაში. საშუალო განთლება მეზობელი სოფლის ამბლებს სკოლაში მიიღო. მისი ყრობის პერიოდში სოფელი საკმაოდ მჭიდროდ იყო დასახლებული. ამიტომაც ყოველი დღე მისთვის ბუნებასა და ადამიანებთან ურთიერთობის შთაბეჭდილებით ივსებოდა და მადლიან კვალს ტოვებდა მომავალი ხელოვანის ფაქიზ, ემოციურ სულსა და სხარტ გონებაზე. (სამწუხაროდ სადღეისოდ მიგრაციის მძიმე ხვედრმა დაჩაგრეს სოფელი).

ბავშვობის შთაბეჭდილებები, ბრძენ, გამრჯე, ენაკვიმატ თანასოფლებელთან ურთიერთობის გამოცდილება და საკუთარი ბიოგრაფია იქცა თავისივე შემოქმედების უმრეტეს წყაროდ. მის სცენარებზე შექმნილმა ფილმებმა დაამშვენა არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო კინემატოგრაფია და შევიდა ოქროს ფონდში.

მეორე მსოფლიო ომში 16 წლის

სულიკო ჟღენტი მოხალისედ წავიდა. ერთ-ერთი ბრძოლის დროს ნაღმის ნამსხვერვემა შეუწერია გულმკერდის მარცხენა მხარე, დაუზინა კუნთები, ფილტვები, მარცხენა ხელი დიდხანს დადამლავებული ჰქონდა, დაიჭრა კისრის არემიც...

ქალბატონო **ოლიკო ჟღენტი** იგონებს: —ომიდან დაბრუნებულ მამას სახლში გაყვითლებული ბარათის ფურცელი დახვდა, რომელიც მის დაღუპვას და დასაფლავების ადგილს აუწყებდა მის მშობლებს. თითქოს მართლაც ასე იყო, ის ბიჭი ომში რომ წავიდა, აღარ დაბრუნებულა, მოვიდა სულ სხვა ბიჭი, მხოლოდ უფრო დაბრძენებული, ჭირგამოვლილი, სიკვდილს თვალებში ჩახედული.

ომიდან დაბრუნებულმა საფრენ-ოსნო სასწავლებელი დაამთავრა და შემდეგ სწავლა მოსკოვის კინემატოგრაფიის სასცენარო ფაკულტეტზე განაგრძო.

სულიკო ჟღენტს, „ჯარისკაცის მამა“-ს სცენარის მიხედვით შექმნილმა ამავე სახელწოდების ფილმმა უდიდესი აღიარება მოუტანა, ეს ფილმი იქცა მსოფლიო კინემატოგრაფიის შედევრად. სულიკო ჟღენტის უდიდესმა ნიჭმა. ადამიანურ ღირსებათა გამოსახვის ხელოვნებამ, კაცის ბუნების ცოდნამ, ცხოვრებისა და ადამიანური ურთიერთობის წვდომის

საიდუმლოების შესაშურმა უნარმა, ადამიანის ვნებათა, ოცნებათა ზუსტმა ადექატურმა ასახვამ ფილმი უკვდავ შედევრად აქცია.

ფილმის სცენარი ცხოვრებისეული სინამდვილიდანაა აღებული. ფრონტზე ორჯერ დაჭრილ სულიკო ჟღენტს, ჰოსპიტალში ჩააკითხა მშობლებმა, მეორედ მარტო მამა ჩავიდა მის მოსანახულებლად.

ფილმის რეჟისორი რეზო ჩხეიძე თავის მოგონებებში წერს: „ჯარისკაცის მამა“ სულიკოს გადატანილმა ომმა დააწერინა, რომლის მონაწილე თავად იყო. ამიტომაცაა ეს ფილმი მართალი. ერთ დღეს 8 თუ 9 გვერდიანი სცენარი მომიტანა, როგორც კი წავიკითხე, მივხვდი, რომ ეს გვერდზე გადასადები სცენარი არ იყო და დავიწყე ფილმის გადაღებაზე ფიქრი. უპირველესად კი ვფიქრობდი, რომელი არტისტი უნდა დამეკავებინა მთავარი როლით... რუსთაველზე ტროლეიბუსით ვმზავრობდი და უცებ თეატრის გვერდით დავინახე ფოტოაპარატების მალაზიის რკინის რიკულეებიან მთავარს ვიდაც კაცი დააყრდნობდა და რაღაცას ჩასცქეროდა. ღონიერი სხეული, ძლიერი ფეხები, გაშლილი მხრები, მყარი დეკორის პოზა, უცებ ის წელში გაიმართა და მოტრიალდა. ვიცანი, ან კი როგორ ვერ ვიცნობდი, ეს ხომ სერგო ზაქარიაძე გახლდათ! ჩემმა გონებამ, რომელიც მხოლოდ იმით იყო დაკავებული, რომ გიორგის როლის შემსრულებელს დაეძებდა, ეს კაცი თითქოს პირველად დამანახა. მეორე დღით დაუურეკე და კინოსტუდიაში მოვიწვიე ახალი სცენარის გასაცნობად...

სერგო ზაქარიაძეს როცა სცენარი წაუკითხავს, უტირია და უთქვამს: დიდხანს ვოცნებობდი კარგ სცენარზე, სადაც უბრალოდ როლს კი არ გავითამაშებდი, არამედ გმირის ცხოვრებით ვიცხოვრებდი. იგი ბედნიერი იყო ამ როლზე მუშაობისას. ფილმში საზგასმულია მთავარი გმირის ადამიანური ღირსებები, მშობლიური მიწისადმი მისი სიყვარული, გლეხური სიეშმაკე, სიკეთე, კეთილშობილება, ადამიანის მიმართ პატივისცემის გრძობა, მისი ხასიათის ჭეშმარიტი ხალხური ბუნება.

ომგამოვლილმა ავტორმა სულ-ისშემდევრად გადმოგვცა ომის სიმწარე და მშვიდობის ფასი. მან

ზედმოწვევით სრული სიზუსტით აღწერა ჯარისკაცის მძიმე ხვედრი და ის თვისება თუ როგორ არ კარგავს ქართველები ასეთ მძიმე პერიოდშიც ომის გმირებს, ქართული სიმღერით ითვლებენ დარდს, გასაჭრში არ ტოვებენ მეგობარს. სულიკო ჟღენტმა თავის სცენარში გვაჩვენა ქართველი კაცი - ომში შეუპოვარი, მედგარი, ვაჟკაცური და თავისი თვისებებით, როგორ იქცა რეალობიდან ასხლეტილი უბრალო გლეხკაცი ყველა ჯარისკაცის მამად. ფილმს „ჯარისკაცის მამა“-ს უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია ნახულობს ქართველი და უცხოელი მაყურებელი, მაგრამ მოწონება და ოვაცია დღემდე არ ცხრება.

დიდი სამამულო ომის თემაზე შექმნა ფილმის, „ღიმილის ბიჭები“ სცენარი. სადაც ავტორი ფილმის დასაწყისშივე ასახავს ცხოვრების სარბიელზე გამოსასვლელად მომწიფებულ ახალგაზრდების ცხოვრებას. აღწერს მათ უმანკო სახეებს, პირველ სიყვარულს, ბავშვურ ანცობას, მეგობრობას სკოლის დამთავრებით გამოწვეულ სიხარულს. შემდეგ კი ომის ქარცეცხლიანი წლები... სამწუხაროდ ექვსი თბილისელი ბიჭიდან მხოლოდ ერთი, გიორგი მიაღწევს რაიხსტაგამდე. იგი შეკვამულ კედელზე ცარცით წერს თანამებრძოლი მძაკაცების სახელებს, წამიერად დაფიქრდება, თითქოს ისევ იძალესო ღიმილის ბიჭებმა, აქაც არ იშლიან თავისას და დამთბობი მეგობარი წაშლის თავის ნამდვილ სახელს და მის მაგივრად მიაწერს ბიჭებისგან შერქმეულ სახელს „პოლოკა“.

ფილმში „მშობლიური ჩემო მიწა“ მეტად ფაქიზად აქვს გამოხატული ვაზის მიმართ ქართველი კაცის დამოკიდებულება, რადგან მან კარგად იცოდა, რომ ქართველისათვის სამშობლოს, სარწმუნოების, უფროსის და ვაზის სიყვარული ერთმანეთთან არის გაიგივებული.

ფილმში „ნერგები“, როგორი სიხარულით მიყვება შვილიშვილი ბაბუას ნერგების ჩამოსატანად. მიუხედავად იმისა, რომ ფეხით უხდება დიდი მანძილის გავლა, მაინც არ წუწუნებს. უამრავი ხეხილის ჯიში იყო გადაშენების პირას მისული, მაგრამ ხეჭვჭურის მსხალი შეგნებულად აქვს არჩეული ავტორს, რომლის ნერგს ხანგრძლივი მზრუნ-

ველობა და განსაკუთრებული მოვლა სჭირდება საიმისოდ, რომ კეთილი ნერგი მოგვეცეს, რაც სიმბოლურად მომავალს განასახიერებს, ქვეყნისა და თაობების მომავალს.

არანაკლებ ამაღლებელია ფილმი „ფესვები“, სადაც ავტორს უცხო მიწაზე გადაკარგული ქართველების ბედი აქვს აღწერილი, მიწის ყივილი, „რომელსაც ხელში აიღებ და მერე მიწაზე დაყრა გენანება.“ ქართული სიმღერის ძალა და მადლი, ომის სიმწარე, ოჯახის სითბო, თუნდაც იმ იმედით, სიკვდილით რომ საკუთარი ფერფლი, მის საყვარელ გურას დაუბრუნდება და მშობლიურ სოფელში მშობლების გვერდით დაიდებს ბინას. ფილმში მომავლის იმედია ასახული. ბაბუამ, რომელმაც ვერ მოახერხა სამშობლოში დაბრუნება, ოცნების ასრულებას მის შეილიშვილს ანდობს.

მაყურებლის მეხსიერებას არასოდეს დაავიწყდება ფილმები: „წუთისოფელი“, „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“, „ბურთი და მოედანი“, „ჭიკოკონა“, „ციმბირელი პაპა“, „რაჭა ჩემი სიყვარული“ ... დოკუმენტური ფილმები: „სეინერები ზღვაში გადიან“, „ადამიანი და ფოლადი“ და სხვ.

საკაცობრიო პრობლემები, რომელსაც სულიკო ჟღენტი შეეხო და აღწერა, დღემდე აქტუალურია. სულიკო ჟღენტს მრავალი ჯილდო აქვს მიღებული საუკეთესო სცენარის შექმნისთვის, იგი იყო რამდენიმე კინოფესტივალის პრემიების ლაურეატი. წლების მანძილზე მუშაობდა ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში. ის ხელმძღვანეობდა კინორემატურების პროგრამას. მას დიდი წვლილი მიუძღვის ხელოვნების უნივერსიტეტის წინაშე, ამიტომაც, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით დაწესდა „სულიკო ჟღენტის სახელობითი პრემია“, რომლის მიღების უფლება აქვს სახვითი სასწავლო და კინო - ტელე ხელოვნების ფაკულტეტის წარჩინებულ სტუდენტებს. ცნობილი მწერლის, პუბლიცისტისა და დრამატურგის ბიუსტი, ბათუმის ბულვარის ცენტრალურ შესასვლელში დგას. სულიკო ჟღენტის შემოქმედება უკვადავია, რომელიც მუდამ შარავანდედად დაადგება ქართულ კინემატოგრაფიას.

ქეთევან კუპულავა

მიწის რეგისტრაცია მარტივდება – გაიზომა რას ითვალისწინებს ცვლილებები



7 ნოემბერს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობა უახლოესი სამი წლის განმავლობაში სოფლად

მიწის რეგისტრაციის პრობლემის გადაჭრას გეგმავს. მისი თქმით, ინიციატივა უკვე დამუშავებულია და ამ მიმართულებით მუშაობა უახლოეს

პერიოდში დაიწყება.

პრემიერის თქმით, ამ საკითხს მოსახლეობა ყველაზე მწვავედ აყენებდა მთავრობის წევრებთან რევიონებში მათი სტუმრობის დროს. „ნეტგაზეთი“ გთავაზობთ მთავრობის განმარტებას, თუ რას გულისხმობს ეს რეფორმა:

რეფორმის ფარგლებში რეგისტრაციის გამარტივებული წესი, რომლის ვადაც 2020 წელს უნდა დასრულდეს, იმოქმედებს უკვადოდ. სხვადასხვა მომსახურება 2022 წლის 1 იანვრამდე უფასო იქნება.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის პირველ იანვრამდე მიწის დაკანონება არ მოახდენს გავლენას იმ ოჯახების სარეგისტრაციო ქულებზე, რომლებიც იღებენ სოციალურ დახმარებას და სარგებლობენ სხვადასხვა შეღავათებით. მოქალაქეები მიწის დარეგისტრირებას შეძლებენ იმ დოკუმენტებით, რომლებიც მათ მიწის რეგისტრაცია შესაძლებელი არ არის.

ნტებით, რომლებიც მათ მიწის რეგისტრაცია დღეს შეუძლებელი არ არის.

რეგისტრაცია შესაძლებელი ხდება დოკუმენტის ასლის საფუძველზე, თუკი ასლი დაცულია ეროვნულ არქივში, საჯარო რეესტრში ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს არქივში;

მარტივდება საკუთრების უფლების რეგისტრაცია საკარმიდამო მიწის ნაკვეთებზე;

შესაძლებელი ხდება საკუთრების უფლების რეგისტრაცია იმ ოჯახების მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც აღრიცხულნი არიან საკომლო წიგნებში, მაგრამ მათი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია შევსებული არ არის.

- * გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერების დამოწმება;
- * სანოტარიო მედიაცია;
- * მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება;
- * ფაქტების კონსტატაცია;
- * მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება და მასში ცვლილების დარეგისტრირება
- * სამკვიდრო მოწმობის გაცემა.
- * მართლზომიერ სარგებლობაში არსებულ მიწად მიიჩნევა, ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში აღრიცხული, 2004 წლის 4 ოქტომბრამდე თვითნებურად დაკავებულ მიწები, ნაკვალად 1994 წლის შეზღუდვისა.
- სისტემური რეგისტრაციის შემთხვევაში საკადასტრო სამუშაოების ჩატარება შეეძლება მხოლოდ აკრედიტებული სუბიექტის მიერ სერტიფიცირებული პირებს

* დოკუმენტაციის მოძიება და სისტემატიზაცია;

ბიორბი ღონაძე: „ეს არის ქართული ტრადიციული კულტურის მხარდაჭერა“



ალიონი. გასულ პარასკევს, ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში გრანდიოზული კონცერტი გაიმართა. მაცურებელთა წინაშე წარსდგნენ: ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლები, ანსამბლები

სასელობის ქართული გალობისა და ფოლკლორის უნივერსიტეტი შეიქმნა ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილის და ფონდ „ქართული გალობის“ მეცნაობით. ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მოძღვრელები, ლოტბარები სვანეთში, თუშეთში, ზემო აჭარაში მოღვაწეობენ და მათ ვანო ჩხარტიშვილი აფინანსებს. უნივერსიტეტის წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვის უნივერსიტეტის რექტორს მამა იონაეს (კეკელიძე). ძალიან დიდ მუშაობას ეწევა საქართველოს ფოლკლორის ცენტრის დირექტორი გიორგი დონაძე, რომელიც აღნიშნულ უნივერსიტეტში მოღვაწეობს და საქართველოს 24 მუნიციპალიტეტში სიმღერისა და გალობის შემსწავლელი სკოლა გახსნია.

— ბერლინში, ფოლკლორის ფესტივალზე თქვენ, „ეს ის ხალხა ქართველები, რომლებიც ღმერთის გალობით ესაუბრებიან.“ — აღნიშნა ანზორ ერქომაიშვილმა.



ტურის მხარდაჭერა. ამჟამად ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში გახსნა თვითნასწავლი მხატვრის, ქობულეთელი **ზაზა ცენტრადის** ნამუშევრების გამოფენა. გამოფენა გახსნა ფოლკლორის ცენტრის პედაგოგმა **მაია გელაშვილმა**. თავის გამოსვლაში ქობულეთის მუშეუბების გაერთიანების დირექტორმა **რევაზ ტაკიძემ** თქვა, რომ ამჟამინდელ გამოფენაზე 30-მდე ფერწერული ნამუშევარია წარმოდგენილი. ეს ზაზა ცენტრადის მე-4 პერსონალური გამოფენაა. მონაწილეობა აქვს მიღებული სხვა ვეგუფურ გამოფენებშიც. გამოფენა რამდენიმე დღეს გასტანს.



— სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის იდეა იყო, რომ გახსნილიყო ქართული სიმღერისა და გალობის უნივერსიტეტი. ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები საქართველოს ყველა რეგიონში მოღვაწეობენ. მოდის ძლიერი ახალგაზრდა თაობა. ისინი თავიანთი გალობით აძლიერებენ ქართულ კულტურას, — აღნიშნა ვანო ჩხარტიშვილმა.

— ქართული კულტურა შუამდინარეთიდან, შუბრებშიდან მოდის, რაც კარგად ჩანს ქართულ კულტურაში, მხატვრობაში, არქიტექტურაში. როგორც ანგელოზები უგალობენ სამი ხმით ღმერთს, ისე მოკვდავი ადამიანები სამი ხმით უგალობენ უფალს, — ბრძანა გურიის მატრიპოლიტმა, **მეუფე იოსებმა**.

ხოლო გიორგი დონაძის თქმით, ის, რასაც აკეთებს ვანო ჩხარტიშვილი, ფონდი „ქართული გალობა“, რომელსაც ბიზნესმენის მეუღლე ნანა გოთოვა ხელმძღვანელობს, ეს არის ქართული ტრადიციული კულ-



სამი ოქრო და ერთი ვერცხლი ჩემნია!



1- 3 ნოემბერს თბილისში, ტაეკვანდოში საქართველოს ღია პირველობა ჩატარდა. ჩემპიონატში 200 - მდე სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას. ასპარეზობაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებულმა ტაეკვანდოს სექციის სპორტსმენებმა წარმატებებს მიაღწიეს.

ანდრია მჭავია - 9 წლის 25 კგ. წონითი კატეგორია - I ადგილი **გურამ დავითაძე** - 11 წლის 30 კგ. წონითი კატეგორია -I ადგილი. **სოფიკო დიასამიძე** - 16 წლის 50 კგ. წონითი კატეგორია - I ადგილი **მარიამ მაჭარაშვილი** - 16 წლის 55კგ. წონითი კატეგორია - II ადგილი

გუნდი შეჯიბრისათვის მწვრთნელებმა **ირაკლი ტულუშმა** და **გიორგი ბერიძემ** მოამზადეს.

„მტრელები“ და ბარაქიანი უემოდგომა

„მტრელები“ ქალაქ ოზურგეთის №4 საბავშვო ბაღის ოთხწლიანთა ვეგუფა, ბარაქიანი უემოდგომა კი - ჩვენზე უკეთესად მოვესხენებათ, რაც არის. პოდა, 8 ოქტომბერს მშობლო ბაღში სწორედ ამ ბარაქიანი უემოდგომის შესატყვისი განწყობილება შეგვიქნეს „მტრელებმა“, რომლის სადებიუტო ღონისძიებებიდანვე ნათლად ჩანს, რომ ეს პატარები სა-გაისოდ კიდევ უკეთეს უემოდგომას მოიყვანენ, ანუ უფრო მდიდარი და მრავალმხრივი პროგრამით წარსდგებიან დამწერ საზოგადოების წინაშე.

ბაღის მენეჯერია მარიკა დლონტი, მეთოდისტი - ნაილი გრძელიძე, აღმზრდელი - ნანა ქერქაძე, მუსიკის მასწავლებელი - ნანა ქლიფთარი.



ქვედა ბაზვის საჯარო სკოლის კვლავინაშენი ბაბილუს



5 ნოემბერს, სოფელ ქვედა ბაზვის საჯარო სკოლის დამსახურებული და დედასწავლი პედაგოგები **ნანული დარჩია**, **გიორგი ნიკოლიშვილი**, **ნანული ბაყალიძე**, **ზინა არიბულიძე** და **ნაილი ბურჯალიანი** საზეიმოდ გააცვიფლეს. მათ პატივსაცემად საჯარო სკოლაში სხვადასხვა მუსიკალური ნომერი შესრულდა. ღონისძიებას გურიის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ქეთევან მოისწრაფეშვილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებთან ერთად დაესწრო. ქეთევან მოისწრაფეშვილმა პედაგოგებს სიტყვით მიმართა და საგან-მანათლებლო სფეროში მრავალწლიანი, ნაყოფიერი საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, +8+22 11 ნოემბერი ორშაბათი	მზე, ღრუბლილი +8+20 12 ნოემბერი სამშაბათი	მზე, +8+19 13 ნოემბერი ოთხშაბათი	მზე, +10+19 14 ნოემბერი ხუთშაბათი	მზე, +8+18 15 ნოემბერი პარასკევი	მზე, +7+18 16 ნოემბერი შაბათი	მზე, +7+17 17 ნოემბერი კვირა
------------------------------------	--	-------------------------------------	--------------------------------------	-------------------------------------	----------------------------------	---------------------------------